# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის" წოდების დაწესების შესახებ

1. დაწესდეს „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდება.

2. „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდება მიენიჭებათ იმ პირებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში, ორგანიზაციულ, სამეცნიერო-საკვლევ, მეთოდურ, პედაგოგიურ მუშაობასა და სამკურნალო ფიზკულტურაში და რომლებმაც იმუშავეს ამ დარგში არა ნაკლებ 40 წლისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1961 წლის 21 ივლისი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

22 ივლისი

შაბათი.

1961 წ.

№ 104 (1740)

გამოცემის მე-17 წელი.

ფასი 3 კაპ.

# „ბ" კლასში

### მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონა

მდგომარეობა 19 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 15 | 8 | 5 | 2 | [illegible] | 21 |
| „ხიმიკი" (მოგილიოვი) | 15 | 8 | 5 | 2 | 24:11 | 21 |
| „შირაქი" (ლენინაკანი) | 15 | 7 | 6 | 2 | 29:14 | 20 |
| რეზ_ი (რიგა) | 15 | 8 | 4 | 3 | 29:15 | 20 |
| „ლოკომოტივი" (გომელი) | 15 | 7 | 4 | 4 | 20:11 | 18 |
| „რიწა" (სოხუმი) | 15 | 7 | 2 | 6 | 24:18 | 16 |
| „კრ. ზნამია" (ვიტებსკი) | 15 | 6 | 4 | 5 | 24:20 | 16 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 15 | 6 | 4 | 5 | 15:12 | 16 |
| ქ. ბობრუისკი | 15 | 4 | 7 | 4 | 13:17 | 15 |
| „პიშჩევიკი" (ტირასპოლი) | 15 | 6 | 3 | 6 | 17:27 | 15 |
| „დინამო" (ბათუმი) | 15 | 3 | 7 | 5 | 15:20 | 13 |
| „ნისტრული" (ბენდერი) | 15 | 3 | 5 | 7 | 13:24 | 11 |
| „სელმაში" (ლიეპაია) | 15 | 3 | 4 | 8 | 16:27 | 10 |
| „სპარტაკი" (ბრესტი) | 14 | 4 | 2 | 8 | 13:25 | 10 |
| „ბანგა" (კაუნასი) | 14 | 4 | 1 | 9 | 12:22 | 9 |
| სკფ (ტალინი) | 15 | 1 | 5 | 9 | 13:30 | 7 |

### მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 15 | 13 | 0 | 2 | 29:8 | 26 |
| „ნაირი" (ერევანი) | 16 | 10 | 3 | 3 | 40:19 | 23 |
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 16 | 9 | 4 | 3 | 25:10 | 22 |
| „კოპედ_დაგი" (აშხაბადი) | 15 | 10 | 1 | 4 | 32:18 | 21 |
| „ენერგეტიკი" (სტალინაბადი) | 15 | 8 | 3 | 4 | 27:16 | 19 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 15 | 9 | 1 | 5 | 26:20 | 19 |
| „ტექსტილშჩიკი" (კიროვაბ.) | 15 | 7 | 3 | 5 | 20:17 | 17 |
| „პამირი" (ლენინაბადი) | 16 | 6 | 3 | 7 | 23:25 | 15 |
| „სტარტი" (ტაშკენტი) | 14 | 5 | 3 | 6 | 15:14 | 13 |
| „ალგა" (ფრუნზე) | 16 | 6 | 1 | 9 | 21:26 | 13 |
| „მეტალურგი" (ჩიმკენტი) | 15 | 4 | 4 | 7 | 28:33 | 12 |
| „ტემპი" (სუმგაითი) | 16 | 5 | 2 | 9 | 18:28 | 12 |
| „სპარტაკი" (ბაქო) | 15 | 4 | 2 | 9 | 17:25 | 10 |
| „სპარტაკი" (ფერგანა) | 14 | 3 | 2 | 9 | 14:27 | 8 |
| „მეტალისტი" (ჯამბული) | 16 | 3 | 2 | 11 | 15:32 | 8 |
| „დინამო" (სამარყანდი) | 15 | 2 | 2 | 11 | 19:51 | 6 |

# სტუდენტთა VIII მსოფლიო

ჰელსინკში გრძელდება სტუდენტთა VIII მსოფლიო პირველობა ჭადრაკში, სადაც მონაწილეობენ აშშ-ს, დანიის, გდრ-ს, ბულგარეთის, საბჭოთა კავშირის, ჰოლანდიის, მონღოლეთის, უნგრეთის, ტუნისის, ინგლისის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთისა და შვეციის გუნდები.

ჩამეამად კარგად დაიწყეს შეხვედრები საბჭოთა მოჭადრაკეებმა. პირველ ტურში მათ სძლიეს მასპინძლებს — ფინეთის ნაკრებს — 4:0.

მეორე ტურში სსრ კავშირის გუნდის წინააღმდეგ თამაშობდნენ გასული წლის მსოფლიო ჩემპიონები — აშშ-ს მოჭადრაკეები. პირველ დაფაზე გროსმაისტერ უ. ლომბარდისა (აშშ) და ოსტატ ლ. შტეინის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. მეოთხე დაფაზე გ. ხოდოსმა (სსრ კავშირი) დაამარცხა ფილადელფიის უნივერსიტეტის სტუდენტი ჩ. კალმე. ვ. ბაგიროვ-ა. ვეინშტეინისა და ლ. შერვინ-ე. გუფელდის პარტიები გადაიდო. მათი განახლებისას შერვინი დამარცხდა გუფელდთან ხოლო ბაგიროვი ყაიმზე შეუთანხმდა ვეინშტეინს და მატჩის ანგარიში გახდა 3:1. ჩეხებმა მოუგეს ტუნისელ მოჭადრაკეებს — 4:0.

შემდეგ ორ ტურში საბჭოთა მოჭადრაკეების წინააღმდეგ თამაშობდნენ ბულგარელები და შვედები. ორივე შეხვედრაში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 3:1 და 4:0. ოთხი ტურის შემდეგ 16 შესაძლებლიდან 14 ქულით საბჭოთა სპორტსმენები ლიდერობენ შეჯიბრებას, მომდევნო ადგილებზე არიან ჩეხოსლოვაკიისა და აშშ-ს მოჭადრაკეები.

## მოსკოვის ტრეკზე

მოსკოვში გაიმართა ველოსიპედისტთა სამატჩო შეხვედრები ტრეკზე ველორბოლაში, სადაც გამარჯვებისათვის იბრძოდნენ მოსკოვის, თბილისის, ერევნისა და სხვა საუკეთესო სპორტსმენები.

ვაჟთა სპრინტში დიდ წარმატებას მიაღწია თბილისელმა უ. იუხნევიჩმა, რომელმაც უკან ჩამოიტოვა ყველა მოწინააღმდეგე და მოიპოვა სამატჩო შეხვედრაში გამარჯვებულის სახელი.



# მეორე მატჩი ევროპაში

მოსკოვში გამართული საერთაშორისო მატჩის დამთავრების შემდეგ ამერიკელი მძლეოსნები გაემგზავრნენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც მორიგი შეხვედრა ჰქონდათ ადგილობრივ სპორტსმენებთან.

შეჯიბრება ჩატარდა კარლსრუეს სტადიონზე.

პროგრამის 12 სახეობიდან ამერიკელმა ქალებმა მხოლოდ ორში მოიპოვეს გამარჯვება და ორი ეროვნული რეკორდი დაამყარეს. ერთი მათგანის ავტორია 800 მ რბენაში მესამე ადგილზე გამოსულ ბ. დანიელსენი — 2.13,1, ხოლო მეორისა — სიგრძეზე მხტომელი ვ. უაიტი, რომელმაც მოსკოვში აჩვენა 6,40 მ და აქ ამ შედეგს კიდევ ერთი სანტიმეტრი მოუმატა.

მეორე გამარჯვება ამერიკის გუნდს მოუტანა ვ. რუდოლფმა 100 მეტრზე რბენაში — 11,5. ქალთა გუნდების შეჯიბრება დამთავრდა გერმანელთა გამარჯვებით. აღსანიშნავია, რომ ამერიკის გუნდი ესტაფეტაში 4X100 მეტრზე წესის დარღვევისათვის მოიხსნა.

ვაჟთა გუნდების შეჯიბრება დამთავრდა ამერიკელთა გამარჯვებით.



აქ მოთავსებულ სურათებზე აღბეჭდილი არიან ის სპორტსმენები, რომლებმაც სსრ კავშირისა და აშშ-ს მძლეოსანთა მატჩზე დაამყარეს მსოფლიო რეკორდები. ზევით — ამერიკის ქალთა გუნდი ესტაფეტაში მსოფლიო რეკორდის დამყარების შემდეგ. ქვევით — ტ. შჩელკანოვა ასრულებს სარეკორდო ხტომას.

ფოტო ვ. ტუტოვისა

# გათამაშების კალენდარი

### სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I და II ზონებში საქართველოს გუნდებისათვის

**სექტემბერი.**

3. „რიწა" (სოხუმი)-„ლოკომოტივი" (გომელი), „ლოკომოტივი" (თბილისი)-ქ. ბობრუისკი, „დინამო" (ბათუმი)-„კრ. ზნამია" (ვიტებსკი). 8. „დინამო" (ბათუმი)-„ლოკომოტივი" (გომელი). 10. „რიწა" (სოხუმი)-„სპარტაკი" (ბრესტი), „ლოკომოტივი" (თბილისი)-„ხიმიკი" (მოგილიოვი). 13. „დინამო" (ბათუმი)-„შირაქი" (ლენინაკანი). 14. „რიწა" (სოხუმი)-„ლორი" (კიროვაკანი). 15. „ლოკომოტივი" (თბილისი)-„ნისტრული" (ბენდერი). 19. „ლორი" (კიროვაკანი)-„ლოკომოტივი" (თბილისი). 20. „პიშჩევიკი" (ტირასპოლი)-„დინამო" (ბათუმი). 24. „შირაქი" (ლენინაკანი)-„ლოკომოტივი" (თბილისი), „ნისტრული" (ბენდერი)-„დინამო" (ბათუმი).

**ოქტომბერი**

1. „რიწა" (სოხუმი)-„ლოკომოტივი" (თბილისი). 8. „ლოკომოტივი" (თბილისი)-„დინამო" (ბათუმი), „პიშჩევიკი" (ტირასპოლი)-„რიწა" (სოხუმი). 15. „ლოკომოტივი" (თბილისი)-„პიშჩევიკი" (ტირასპოლი), „ლორი" (კიროვაკანი) - „დინამო" (ბათუმი), „ნისტრული" (ბენდერი)-„რიწა" (სოხუმი). 22. „რიწა" (სოხუმი)-„შირაქი" (ლენინაკანი).

**მეორე ზონა**

**ივლისი**

23. „მეტალურგი" (რუსთავი)-„სპარტაკი" (ბაქო). 25. „შახტიორი" (ყარაგანდა)-„ტორპედო" (ქუთაისი). 30. „მეტალისტი" (ჯამბული)-„ტორპედო" (ქუთაისი).

**აგვისტო**

4. „ალგა" (ფრუნზე)-„ტორპედო" (ქუთაისი). 9. „მეტალურგი" (ჩიმკენტი)-„ტორპედო" (ქუთაისი). 11. „მეტალისტი" (ჯამბული)-„მეტალურგი" (რუსთავი). 15. „ტორპედო" (ქუთაისი)-„ტექსტილშჩიკი" (კიროვაბადი), „ალგა" (ფრუნზე)-„მეტალურგი" (რუსთავი). 20. „შახტიორი" (ყარაგანდა)-„მეტალურგი" (რუსთავი). 27. „ტორპედო" (ქუთაისი)-„ენერგეტიკი" (სტალინაბადი), „მეტალურგი" (ჩიმკენტი)-„მეტალურგი" (რუსთავი).

**სექტემბერი**

2. „მეტალურგი" (რუსთავი)-„ტემპი" (სუმგაითი), „ტორპედო" (ქუთაისი)-„კოპეტ-დაგი" (აშხაბადი). 6. „მეტალურგი" (რუსთავი)-„კოპეტ-დაგი" (აშხაბადი). 10. „ტორპედო" (ქუთაისი)-„ტემპი" (სუმგაითი), „მეტალურგი" (რუსთავი)-„ენერგეტიკი" (სტალინაბადი), 20. „სპარტაკი" (ფერგანა)-„ტორპედო" (ქუთაისი). 24. „პამირი" (ლენინაბადი)-„ტორპედო" (ქუთაისი), „სტარტი" (ტაშკენტი)-„მეტალურგი" (რუსთავი). 27. „დინამო" (სამარყანდი)-„მეტალურგი" (რუსთავი).

**ოქტომბერი**

1. „პამირი" (ლენინაბადი)-„მეტალურგი" (რუსთავი), „სტარტი" (ტაშკენტი)-„ტორპედო" (ქუთაისი). 8. „სპარტაკი" (ფერგანა)-მეტალურგი" (რუსთავი), „დინამო" (სამარყანდი)-„ტორპედო" (ქუთაისი). 15. „ნაირი" (ერევანი)-„ტორპედო" (ქუთაისი), „ტექსტილშჩიკი" (კიროვაბადი)-„მეტალურგი" (რუსთავი). 22. „მეტალურგი" (რუსთავი)-„ნაირი" (ერევანი).

შენიშვნა: მატჩები ჩატარდება პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე.

# კალათბურთის ფედერაციაში

კალათბურთის საკავშირო ფედერაციის უკანასკნელ სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად განხილულ იქნა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრების ლ. მოსეშვილისა („დინამო", თბილისი) და ი. ნაუმცევის („დინამო", მოსკოვი) არასპორტული საქციელი. ფედერაციის პრეზიდიუმმა ორივე სპორტსმენს მისცა პირობითი დისკვალიფიკაცია ორი წლის ვადით.

სპორტულ პრესაში ბევრჯერ იყო აღნიშნული, რომ საკავშირო პირველობაზე მონაწილე გუნდები ატარებენ ძნელად გამოსათქმელ სახელწოდებებს. მაგალითად ტტტ, გპი, უსკ, კპი და ა. შ. ფედერაციამ ამ თხოვნით მიმართა „ბურევესტნიკის", „ტრუდის", „დაუგავას", „კალევის", „ჟალგირისის" ცენტრალურ საბჭოებს საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრისათვის ზემოთაღნიშნულ გუნდებს შეუცვალოს სახელწოდება.

# დავიცვათ წესრიგი ფეხბურთის მინდვრებზე

წინამდებარე წერილში გვინდა შევეხოთ საქართველოს პირველობაში მონაწილე გუნდებისა და მათი მოთამაშეების დისციპლინის საკითხს. ცნობილია, რომ ამ კოლექტივებში უნდა ხდებოდეს მოთამაშეთა ფორმირება, მათში კოლექტივიზმის სულისკვეთების გაღრმავება, დისციპლინის განმტკიცება, გამარჯვების რწმენის გამომუშავება. მაგრამ, სამწუხაროდ, რესპუბლიკის პირველობაზე მონაწილე ყველა გუნდი სადღეისოდ ვერ პასუხობს ამ მოთხოვნებს.

ჩვენს გუნდებს კვალიფიციური მწვრთნელები უდგანან სათავეში, მათს საქმიანობას აკონტროლებენ სათანადო ფიზკულტურული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, მაგრამ მიუხედავად ამისა, წლევანდელი გათამაშების პირველმა ნახევარმა არასახარბიელო შედეგები მოგვცა.

დაწყებული აპრილის თვიდან რესპუბლიკურ გათამაშებაში ადგილი ჰქონდა ფეხბურთელთა მიერ წესრიგის უხეში დარღვევის 55 შემთხვევას (აქ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არა გვაქვს მითითებანი ფეხბურთელთა მიმართ). აღნიშნული რაოდენობიდან 28 მოთამაშე დასჯილი იქნა უხეში თამაშისათვის, 20 — მსაჯთან შეკამათებისათვის, ხოლო უცენზურო სიტყვების ხმარებისათვის — 6.

უხეში თამაშისათვის შენიშვნები მიიღეს გ. გვენცაძემ (რუსთავის „სპარტაკი"), ა. მელიქიამ (ხობის „კოლხეთი"), ე. გეგეჭკორმა და რ. ზარანდიამ (ზუგდიდის „ოდიში"), ლ. ფირცხალავამ და ჯ. კვანტალიანმა (სამტრედიის „ლოკომოტივი"), ვ. მებურნუტოვმა (სტალინირის „სპარტაკი"), ე. თაკაშვილმა (ყვარლის „დურუჯი"), ო. არუთინოვმა და ვ. კოშკალოვმა (თბილისის „ისანი"), ე. მაზანაშვილმა (თელავის „კოლმეურნე"), ა. სოფრომაძემ (ქუთაისის „მშენებელი") და ა. შ.

ზოგიერთ მოთამაშეს მსაჯის მიერ მიცემული შენიშვნა არ მიაჩნია სამართლიანად და იწყებს დავას მსაჯთან. ასეთებს თავიანთი თავი ყოვლისმცოდნედ მიაჩნიათ და თავიანთ ცოდნას კამათით გამოხატავენ. მსაჯთან კამათისათვის სასჯელი დაედოთ: ბ. სინაურიძეს (თელავის „კოლმეურნე"), ქ. ოდიშარიას (გეგეჭკორის „სალხინო"), გ. ჯავახაძეს (ქუთაისის „მშენებელი"), რ. გორდელაძეს (ლანჩხუთის „გურია"), ა. ოდიშარიას (ფოთის „მეზღვაური"), ს. კარსონაშვილს და ლ. ჟამუტაშვილს (ყვარლის „დურუჯი"), ვ. კაპუსტიანს (თბილისის „ისანი"), ვ. შელიას (რუსთავის „სპარტაკი"), ნ. ემირიძეს (ბათუმის „განთიადი"). ზუგდიდის „ოდიშის" მოთამაშემ ა. თირქიამ წელს მსაჯებისგან ორჯერ დაიმსახურა სასტიკი შენიშვნა კამათისათვის, ამ უკანასკნელს არც ბათუმელი გ. აივაზოვი ჩამორჩა, რომელმაც დემონსტრაციულად გამოუცხადა მსაჯს უკმაყოფილება მისი გადაწყვეტილების გამო.

უდისციპლინობით განსაკუთრებით გამოირჩინეს თავი ვ. კარანაძემ თბილისის არმიელთა გუნდიდან, ბათუმელმა თ. ბოლქვაძემ, ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის ფეხბურთელმა ო. ბედოშვილმა. აღნიშნულმა ფეხბურთელებმა გადაწყვიტეს თავიანთი უდისციპლინობა უცენზურო სიტყვების ხმარებით განამტკიცონ. ამ კატეგორიის ფეხბურთელთა შორის განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი ხობის „კოლხეთის" მოთამაშეს რ. ფაცაციას, რომელსაც მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის სეზონის ბოლომდე აეკრძალა თამაში.

მოთამაშეთა მიერ დისციპლინის დარღვევის საკითხის განხილვასთან ერთად საჭიროა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ თვით კოლექტივები, მწვრთნელები და ფიზკულტურული ორგანიზაციები სათანადოდ ვერ წარმართავენ მოთამაშეთა პოლიტ-აღმზრდელობითი აღზრდის საკითხებს, მკაცრად არ სჯიან დამრღვევებს და ისინი ფაქტიურად თავიანთი ვიწრო სპორტული ინტერესებით ხელმძღვანელობენ.

ადიგენის „მექანიზატორის" მოთამაშე დ. ხვისტანი ქობულეთის გუნდთან მატჩში გაძევებულ იქნა მინდვრიდან უცენზურო სიტყვების ხმარებისათვის. გუნდის კრებამ განიხილა მისი საკითხი, მაგრამ დასჯის ნაცვლად ფეხბურთის ფედერაციას ეთხოვა ეპატიებინათ დანაშაული ხვისტანისათვის, რაც არასწორად უნდა ჩაითვალოს. შემდეგი მაგალითი: 7 მაისს სამტრედიის „ლოკომოტივი" თამაშობდა ფოთში ადგილობრივ „მეზღვაურთან". მინდვრიდან გაძევებული იქნა „ლოკომოტივის" მოთამაშე გ. პუნჩენკო. გუნდმა თავის კრებაზე ისე განიხილა აღნიშნული ფაქტი, თითქოს პუნჩენკო არ იყო დამნაშავე, თითქოს დამნაშავე იყო ფოთელი ფეხბურთელი. მსაჯი ყოველივე ამას ვერ ამჩნევდა, პუნჩენკომ კი ვეღარ მოითმინა, „ფეხი ამოჰკრა" მოწინააღმდეგეს და აი ეს დაინახა მსაჯმა. ვფიქრობთ, საკითხის ამგვარი განხილვა კარგს არაფერს მოუტანს გუნდს.

ანალოგიურად განიხილა საკითხი ხობის „კოლხეთის" ფეხბურთელთა გუნდის კრებამ მოთამაშე ვ. ფაცაციას შესახებ. კრება, რომელსაც ესწრებოდა „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჭითავა თვითდამშვიდებისა და ქების ასპექტში ჩატარდა. ოქმში ვკითხულობთ, რომ „გუნდი გასულ წელთან შედარებით კარგი დისციპლინის მქონეა და თამაშების დროს არ ხდება წესრიგის დარღვევა". შემდეგ ფიქსირებას უკეთებენ მომხდარ ფაქტებს და აღნიშნავენ, რომ „გუნდის წევრი რ. ფაცაცია მსაჯის მიერ არასწორა[დ] დანიშნული 11-მეტრიანი საჯარ[იმოს] გამო შეეკამათა მსაჯს, რის[თვის] გამოც მსაჯმა იგი გაძევა მოედნ[ი]დან". დადგენილების ნაწილში [კი] ვკითხულობთ, რომ „რ. ფაცა[ცია]... ...ციელისათვის მიეცეს დისკვალიფ[იკ]... ...ე კომენტარებს არ საჭიროებს.

ცხაკაიას „განთიადის" ფეხბურ[თ]ელებმა წელს სამჯერ ჩაატარ[ეს] კრება, სადაც განიხილეს უდისცი[პ]ლინო ფეხბურთელების ო. კანდე[]ლაკის, ს. ყოლბაიას და ა. უკ[]ლოვის საკითხი. გუნდის მწვრთნე[]ლი ა. ნორაკიძე, აგრეთვე მოთამა[]შეები მოერიდნენ დამნაშავეთ[ა] მკაცრ კრიტიკას და სთხოვეს ფე[ხ]ბურთის ფედერაციას გამოეჩი[ნა] შეწყნარება მათ მიმართ.

მსგავსი მაგალითების ჩამოთვ[ლა] მრავლად შეიძლებოდა. ცხად[ია], გუნდები სათანადო პრინციპულო[]ბით არ უდგებიან მოთამაშეთა მი[ერ] წესრიგის დარღვევის საკითხს, [რი]თაც ხელს უწყობენ უდისციპლინო[]ბათა განმეორებას. გუნდების ხელ[მ]ძღვანელობამ მეტი პრინციპულ[ო]ბა უნდა გამოიჩინოს აღნიშნ[ულ] საკითხებში.

საქართველოს ფეხბურთის ფე[]დერაციის სპორტულ-ტექნიკ[ურ] კომისიას ხშირად უხდება ამ ლიბ[ე]რალობათა გამოსწორება და სათა[]ნადო სასჯელის გამოტანა უდის[]ციპლინო ფეხბურთელთა მიმართ.

აღსანიშნავია, რომ უხეშობა[ს] წინააღმდეგ ბრძოლის საქმე[ში] უმოქმედობას იჩენენ ფეხბურთ[ის] ადგილობრივი სექციები. მათ უ[] და გარდაქმნან მუშაობა, დაეხ[მა]რონ კოლექტივებს აქტიური ს[]მიანობით.

რესპუბლიკის მთელი რიგი რაი[ო]ნების კომკავშირული ორგანი[ზა]ციები ყურადღების გარეშე ტო[ვე]ბენ თავიანთ გუნდებს. და ეს [მა]შინ, როცა ფეხბურთელთა უმრ[ავ]ლესობა კომკავშირლებია. მათ უ[ნდა] რო ქმედითი კონტროლი უ[] დააწესონ ფეხბურთელთა გუნდე[ბის] მიმართ.

**მ. დარჩია,**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

# უმაღლესი ოსტატობა

ჯეკ კრამერის პროფესიონალ ჩოგბურთელთა საჩვენებელ თამაშს დიდი ინტერესით მოელოდა თბილისელი მაყურებელი, მაგრამ პირველივე წყვილის შეხვედრის შემდეგ ბევრმა მათგანმა დატოვა სპორტის სასახლე. რით აიხსნება ეს ფაქტი? კრამერის ჩოგბურთელები ხომ მსოფლიოში აღიარებულ მოთამაშეებს წარმოადგენენ? გავხსნათ ფრჩხილები:

სანახაობითი თვალსაზრისით პროფესიონალ ჩოგბურთელთა შეხვედრები საგრძნობლად ჩამორჩება სპორტის სხვა სახეობათა პროფესიონალების თამაშს. საქმე იმაშია, რომ თუ, ვთქვათ, ჰარლემის ჯადოქარ კალათბურთელთა გუნდის თვითეულ მოთამაშეს თავისი როლი აქვს მიკუთვნებული სანახაობაში და თამაშიც მარტოოდენ ეფექტურ მოძრაობებზეა აგებული, აქ ნამდვილი სპორტული შეჯიბრება იმართება უაღრესად დახვეწილი ტექნიკის ჩოგბურთელთა შორის.

გარდა ამისა, ამ მოთამაშეთა სიძლიერის გამო შეხვედრა ერთფეროვნად მიმდინარეობს და მაყურებელი მათი ოსტატობის სრულყოფას მხოლოდ ცალკეული დეტალების დამუშავებაში ხედავს, მთავარი — მათი შეუდარებელი ტექნიკა კი მისთვის „შეუმჩნეველი" რჩება.

ამ თანაბარი სიძლიერის მქონე სპორტსმენთა შეხვედრებში თითქმის ყველა გეიმი ბურთის მიმწოდებელი მოთამაშის სასარგებლოდ მთავრდება. გრძელი გადაცემები მოულოდნელად იცვლება უძლიერესი ძალის მკვეთრი დარტყმებით.

ასე მოხდა პირველივე წყვილის — ეკვადორელი ფ. სეგურასა და დანიელი კ. ნილსენის შეხვედრაშიც. როცა ანგარიში იყო 6:6, ნილსენმა შეძლო მოწინააღმდეგის მოწოდების მოგება, რამაც პირველი პარტიის ბედი მის სასარგებლოდ გადაწყვიტა — 8:6.



## ჯ. კრამერის პროფესიონალ ჩოგბურთელთა გამოსვლები

40 წლის ფ. სეგურამ, რომელსაც ორივე ხელით შესრულებული და ძლიერ შენიღბული მარჯვენა დარტყმები აქვს, მეორე და მესამე პარტიაში შეძლო უპირატესობის მოპოვება და მატჩის მოგებაც — 6:8, 6:4, 6:2.

ჩოგბურთელთა პირველი „ვარსკვლავის" — რ. გონზალესის ყველაზე საშიში მეტოქის — 26 წლის ავსტრალიელი ლ. ჰოადისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამგზის ჩემპიონის — ტ. ტრაბერტის შეხვედრაში მაყურებელმა იხილა თამაშის ბრწყინვალე ტექნიკა, თუმცა მოწინააღმდეგეებს მთელი თავისი შესაძლებლობანი არც აქ გამოუმჟღავნებიათ. შეხვედრა მოიგო ლ. ჰოადმა — 11:9, 9:7.

ჩვენი სტუმრების ვირტუოზულმა ტექნიკურმა და უბადლო თამაშმა თავისი გამოხატულება ჰპოვა წყვილთა სეგურა-ტრაბერტისა და ბ. მაკ-კეი-ე. ბუჰგოლცის შეხვედრაში. ეს იყო თანამედროვე ჩოგბურთის უმაღლესი კლასის დემონსტრაცია. ყველა მოთამაშე ფლობდა ჰაერიდან ბურთის აღების იშვიათ ტექნიკას.

აგრესიული სტილის ეს ოთხივე მოთამაშე თითქმის არ მოშორებია ბადეს და რთული, მოკლედ დარტყმული ბურთების სწორუპოვარი აღებით აღტაცება გამოიწვიეს მაყურებელთა შორის. შეხვედრა დამთავრდა მაკ-კეი-ბუჰგოლცის გამარჯვებით — 9:7, 6:1.

მატჩის დასასრულს ჯ. კრამერმა ახსნა-განმარტება მოგვცა თავის ჯგუფის ზოგიერთ თავისებურებაზე. მან თქვა:

პროფესიონალ ჩოგბურთელთა მატჩების დროს, როგორც წესი, გამარჯვებულს ვაჯილდოვებთ შემოსავლის 15 პროცენტით. საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ჩვენ არ შეგვეძლო ამის გაკეთება, ვინაიდან ფულით დაინტერესების დროს ჩოგბურთელები თავდავიწყებით თამაშობენ და თვითეული შეხვედრა რამდენიმე საათს გაგრძელდებოდა.

კითხვაზე, თუ რატომ არ ჩამოვიდა მასთან ერთად გონზალესი, კრამერმა გვიპასუხა:

მართლა საწყენია, რომ იგი სწორედ ამ პერიოდშია დასასვენებლად წასული და თქვენ არ მოგეცათ მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელის ხილვის საშუალება.

ჩვენს თხოვნაზე, შეედარებინა ერთმანეთისათვის მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატზე—უიმბლდონის ტურნირში გამარჯვებული ავსტრალიელი ლევერი და მისი თანამემამულე გონზალესი, ჯეკ კრამერმა უყოყმანოდ დაიცვა თავისი დასის წევრი:

სპორტული ტექნიკის მხრივ გონზალესი და ლევერი შესაბამისად გოლიათად და ქონდრის კაცად გამოჩნდებიანო,

შეიძლება ეს პროფესიონალთა ჯგუფის ხელმძღვანელის მიკერძოებაა თავისი მოთამაშის პრესტიჟის ასაწევად. გონზალესი რომ პირველი კლასის ჩოგბურთელია, ამას არავინ უარყოფს, მაგრამ არც ის არის დასამალი, რომ ჯეკ კრამერი უიმბლდონის ტურნირს დაესწრო და სწორედ ამ ახალგაზრდა, მზარდი სპორტსმენის [გა]დაბირებას ფიქრობდა. ეს მოლ[]პარაკება ჯერჯერობით წარუ[მა]ტებლად დამთავრდა.

ასეა თუ ისე, ჯ. კრამერი თავ[ი]დასით უდაოდ დიდ სამსახ[ურს] უწევს ჩოგბურთის პ[ო]პულარიზაციას მთ[ელ] მსოფლიოში.

**ვ. კანდელა[კი],**

საკავშირო კატეგორიის მს[აჯი]

**გ. სამსონ[]**

* * *



**სურათებზე:** ზევიდან ქვევ[ით] წყვილთა შეჯიბრების ერთ-ე[რთი] მომენტი. ჯეკ კრამერი ამოწ[მებს] ბურთების ვარგისიანობას.

ფოტო მ. ზარგარიან[ის]

# გათამაშების ცხრილები

I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 20 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სიხარული" (მახარაძე) | 15 | 10 | 3 | 2 | 45:19 | 23 |
| ფიზ. ინსტ. (თბილისი) | 16 | 9 | 5 | 2 | 34:17 | 23 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 16 | 9 | 5 | 2 | 39:16 | 23 |
| „იმერეთი" (ქუთაისი) | 16 | 6 | 8 | 2 | 30:18 | 20 |
| „განთიადი" (ბათუმი) | 16 | 8 | 4 | 4 | 27:23 | 20 |
| სკა (თბილისი) | 16 | 7 | 5 | 4 | 31:18 | 19 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 16 | 7 | 4 | 5 | 32:24 | 18 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 16 | 6 | 4 | 6 | 26:26 | 16 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 15 | 6 | 3 | 6 | 23:38 | 15 |
| „კოლხიდა" (ხობი) | 16 | 3 | 7 | 6 | 25:25 | 13 |
| „მექანიზატორი" (ადიგენი) | 16 | 4 | 3 | 9 | 26:36 | 11 |
| „კოლმეურნე" (თელავი) | 16 | 2 | 6 | 8 | 30:49 | 10 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 16 | 3 | 2 | 11 | 21:51 | 8 |
| „დინამო" (სოხუმი) | 16 | 0 | 3 | 13 | 15:43 | 3 |

II ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია" (ლანჩხუთი) | 16 | 13 | 0 | 3 | 44:24 | 26 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 16 | 9 | 4 | 3 | 40:18 | 22 |
| „სპარტაკი" (სტალინირი) | 16 | 9 | 2 | 5 | 24:23 | 20 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 16 | 7 | 4 | 5 | 28:30 | 18 |
| „განთიადი" (ცხაკაია) | 15 | 8 | 2 | 5 | 26:29 | 18 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 15 | 7 | 3 | 5 | 29:23 | 17 |
| „მეზღვაური" (ფოთი) | 16 | 6 | 4 | 6 | 16:16 | 16. |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 16 | 6 | 4 | 6 | 23:23 | 16 |
| „მშენებელი" (ქუთაისი) | 16 | 5 | 5 | 6 | 20:26 | 15 |
| „დილა" (გორი) | 16 | 5 | 3 | 8 | 23:21 | 13 |
| „სპარტაკი" (თბილისი) | 16 | 4 | 5 | 7 | 17:23 | 13 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 16 | 4 | 4 | 8 | 21:31 | 12 |
| „ისანი" (თბილისი) | 16 | 3 | 3 | 10 | 22:33 | 9 |
| „სპარტაკი" (რუსთავი) | 16 | 1 | 5 | 10 | 16:31 | 7 |





მომენტები განვლილი მატჩიდან სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში თბილისის „დინამოსა" და როსტოვის არმიელთა შორის. მარცხნივ — ზ. კალოევი მეკარე ვ. სკარლიგინთან და მცველთან ბრძოლაში თავით აგზავნის ბურთს კარისაკენ. მარჯვნივ — მ. მესხი ლებულობს ბურთს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## გათამაშების XVI ტური

შედგა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

I ქვეჯგუფის ლიდერმა — მახარაძის „სიხარულმა" კიდევ 2 ქულა მიუმატა თავის აქტივს. მახარაძელებმა დიდი უპირატესობით ჩაატარეს მატჩი ბათუმის „განთიადთან" და დაამარცხეს იგი ანგარიშით 3:0.

დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა მატჩი ქუთაისში ადგილობრივ „იმერეთსა" და თბილისის არმიელთა გუნდს შორის. ანგარიში გახსნეს ქუთაისელებმა, მაგრამ სტუმრებმა შესვენების შემდეგ გაიტანეს საპასუხო გოლი და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

სოხუმის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ჩოხატაურის „ბახმარო". მატჩი მიმდინარეობდა ორმხრივ იერიშებში და დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 2:1.

ხობის „კოლხეთს" თავისი მორიგი შეხვედრა ჰქონდა თელავში ადგილობრივი „კოლმეურნის" წინააღმდეგ. თამაში დაიწყო სტუმრების განუწყვეტელი იერიშებით, რომლებმაც შესვენებისათვის 3 „მშრალი" ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგეთა კარში. თელაველებმა მხოლოდ შესვენების შემდეგ გამოასწორეს თამაში, მაგრამ უკვე გვიან იყო. თამაში დამთავრდა ხობის „კოლხეთის" გამარჯვებით — 3:1.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა მატჩი ჭიათურის „მაღაროელსა" და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდებს შორის. მიუხედავად ამისა, 90 წუთის განმავლობაში ბურთი არ გატანილა — 0:0.

მეტად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა შეხვედრა ტყიბულში ადგილობრივ „მეშახტესა" და ქობულეთის „შუქურას" შორის. ტყიბულელებმა ეს საპასუხისმგებლო შეხვედრა მოიგეს ო. ავალიანის მიერ გატანილი ერთადერთი ბურთის წყალობით — 1:0.

ადიგენის ფეხბურთელთა იერიშებით დაიწყო მათი შეხვედრა გეგეჭკორის „სალხინოსთან" და მალე ანგარიშიც გახსნილ იქნა, მაგრამ ეს ბურთი გაიტანეს არა მასპინძლებმა, არამედ სტუმრებმა — 1:0. „მექანიზატორმა" კარგად გაითვალისწინა ეს გაკვეთილი, მთლიანად ხელთ აიღო ინიციატივა და დამაჯერებელი ანგარიშით დაამარცხა მოწინააღმდეგე — 5:1.

უფერულად, უინტერესოდ ჩატარდა მატჩი თბილისში II ქვეჯგუფის გუნდებს — თბილისის „ისანსა" და ზუგდიდის „ოდიშს" შორის; თამაში დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

ქუთაისის „მშენებელმა" თავის მინდორზე მიიღო ახალციხის „მესხეთი". სტუმრები დაწინაურდნენ ჯერ კიდევ პირველ ტაიმში — 1:0. ერთი ბურთის განსხვავებით მოიგეს ახალციხელებმა მეორე ტაიმიც და მორიგი გამარჯვება ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში — 3:1.

წულუკიძის „ფეიქარი" თავის მინდორზე შეხვდა თბილისის „სპარტაკს" და საგრძნობ უპირატესობას მიაღწია პირველ ტაიმში — 2:0. მაგრამ წულუკიძის ფეხბურთელებმა შესვენების შემდეგ შეანელეს თამაშის ტემპი, რითაც კარგად ისარგებლეს სპარტაკელებმა და გაქვითეს ორივე გოლი — 2:2.

კარგად ითამაშა სტალინირის „სპარტაკმა" თავის მინდორზე II ქვეჯგუფის ლიდერის — ლანჩხუთის „გურიის" წინააღმდეგ. მასპინძლებმა მწყობრი იერიშებით დაიწყეს თამაში და მალე გახსნეს კიდეც ანგარიში, რასაც მოჰყვა საპასუხო გოლი ლანჩხუთელთა მხრივ. სტალინირელები კიდევ უფრო უკეთ თამაშობდნენ მეორე ტაიმში და მატჩი დამთავრდა მათი გამარჯვებით ანგარიშით 3:2.

ყვარლის „დურუჯისა" და გორის „დილას" შეხვედრაში ანგარიში გახსნეს „დურუჯის" ფეხბურთელებმა, მაგრამ სტუმრებმა მეორე ტაიმში გაიტანეს საპასუხო გოლი და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

რუსთავის „სპარტაკი" არ გამოცხადდა თამაშზე ფოთის „მეზღვაურთან", ამიტომ მას ჩაეთვალა დამარცხება.



ფეხბურთელთა საერთაშორისო მატჩი ქუთაისის „ტორპედოსა" და სუდანის ნაკრებს შორის.

სურათზე: გოლი სუდანელთა კარში.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

## მოველით ახალ შევსებას!

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი ახალი სასწავლო წლიდან შეივსება 326 სტუდენტით. ეს ის აბიტურიენტებია, რომლებიც ჩაირიცხებიან ფიზკულტურის ინსტიტუტის ორივე (სტაციონარი და დაუსწრებელი) განყოფილებასა და მწვრთნელთა სკოლაში. წინა წლებისაგან განსხვავებით მწვრთნელთა სკოლაში ძიილებიან მხოლოდ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

დროულად გადაიდგა ნაბიჯი, რომ წარმოება-დაწესებულებებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და ფაბრიკა-ქარხნებმა ინსტიტუტში სასწავლებლად თავიანთ ხარჯზე მოავლინონ პერსპექტიული ახალგაზრდები, რომლებიც შემდგომში მათვე დაუბრუნდებიან.

მიმდინარე წელს ინსტიტუტში მისაღები გამოცდები რამდენადმე შეცვლილია. ქართულ სექტორზე შემსვლელებთან გამოცდების —ქართული (წერა და ზეპირი), ქიმია, ფიზიკა — გარდა იწარმოებს გასაუბრება რუსულ ენაშიც. რუსულ სექტორზე შემსვლელები ჩააბარებენ ერთ-ერთ უცხო ენას სკოლის სასწავლო პროგრამით.

აღსანიშნავია, რომ თუ წინათ ფიზიკური მომზადების შეფასება წარმოებდა სპეციალობაში, მძლეოსნობაში, ცურვასა და ტანვარჯიშში გამოცდით, რომლის დროსაც ნიშნები იწერებოდა ცალცალკე, ამჯერად ფიზიკური მომზადება ფასდება ორი ნიშნით — სპეციალობაში და დანარჩენ სახეობებში მიღებული ნიშნით.

იმ ახალგაზრდათა დასახმარებლად, რომლებიც ადრე ვერ ჩამოვლენ თბილისში და ვერ მიიღებენ კონსულტაციებს, ვაქვეყნებთ ფიზიკური მომზადების ნორმატივებს.

# საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში 1961 წელს მისაღები გამოცდების პროგრამა

### პროგრამა სპორტულ მომზადებაში.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში მისაღები გამოცდები სპორტულ მომზადებაში (სტაციონარი და დაუსწრებელი განყოფილებების) ტარდება სპორტის ამორჩეულ სახეობაში (სპეციალობა) მძლეოსნობაში, ტანვარჯიშსა და ცურვაში, გამოცდის ყოველ სახეობაში დაიწერება ცალკე ნიშანი.

ინსტიტუტში სტაციონარულ განყოფილებაზე შემსვლელებს უნდა ჰქონდეს: 1. მშთ I საფეხურის ნიშანი, 2. სპორტის ამორჩეულ სახეობაში III თანრიგი, რომელიც უნდა შესრულებულ იქნას უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში.

ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე შემსვლელებს უნდა ჰქონდეს: 1. მშთ I საფეხურის ნიშანი. 2. სპორტის ამორჩეულ სახეობაში III თანრიგი.

### 1. მისაღები გამოცდები მძლეოსნობაში

მძლეოსნობაში გამოცდა ტარდება შემდეგ სახეობებში:

ვაჟები:

რბენა 100 და 800 მეტრზე, სიმაღლეზე გამორბენით ხტომა და ბირთვის კვრა.

ქალები:

რბენა 100 და 400 მეტრზე, სიმაღლეზე გამორბენით ხტომა და ბირთვის კვრა.

საერთო შეფასება მძლეოსნობაში წარმოებს არსებული ცხრილის საშუალებით (1955 წლის გამოცემა).

ვაჟები:

„ფრიადი"—1.800 ქულა, „კარგი" — 1.500 ქულა, „დამაკმაყოფილებელი" — 1.300 ქულა.

ქალები:

„ფრიადი" — 2.200 ქულა, „კარგი" — 1.800 ქულა, „დამაკმაყოფილებელი" — 1.500 ქულა.

მოთხოვნები დაუსწრებელ ფაკულტეტზე და ინსტიტუტის განყოფილებაზე შემსვლელთათვის მძლეოსნობაში შემდეგია:

35 წლის ასაკამდე ვაჟთათვის და 30 წლის ასაკამდე ქალთათვის; საერთო მოთხოვნები არ იცვლება.

35 წლის ასაკის ზევით ვაჟები აბარებენ შემდეგ ნორმატივებს: ოთხჭიდში (რბენა 100 და 800 მეტრზე, სიმაღლეზე გამორბენით ხტომა და ბირთვის კვრა — ქულებში); „ფრიადი" — 1.000 ქულა, „კარგი" — 900 ქულა, „დამაკმაყოფილებელი" — 800 ქულა.

(დასასრული იხ. მე-4 გვერდზე).

ლელო
მე-3 გვ. № 104 (1740)

# საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში 1961 წელს მისაღები გამოცდების პროგრამა

(დასასრული)

30 წლის ასაკს ზევით ქალები აბარებენ შემდეგ ნორმატივებს ოთხჭიდში (რბენა 100 და 400 მ. სიმაღლეზე გამორბენით ხტომა, და ბირთვის კვრა — ქულებში): „ფრიადი" — 1.400 ქულა, „კარგი" — 1.200 ქულა, „დამაკმაყოფილებელი" — 1.000 ქულა.

## 2. მისაღები გამოცდები ტანვარჯიშში

1. ღერძი — მაღალი ან დაბალი (ამორჩევით), ამართასვლა — ნებისმიერი ხერხით (კიდში გაქნევით, მახტომით, გარბენით). 2. ორძელი — მკლავბჯენზე შვერიდან ამართბჯენი, წინ ქნევი და უკუფეხშლა — ნებისმიერ მხარეს. 3. ბაგირი (ვერტიკალური) 4-5 მეტრი სიმაღლის; ფეხშლით ჯდომიდან (ბაგირი ფეხებს შორისაა) ცოცვა ფეხების დაუხმარებლად, 4 მეტრის მანძილზე ფეხშლით წინშვერის შენარჩუნებით. 4. 16-24 თვლაზე თავისუფალი ვარჯიში — თავყირის, უკუტრიალის, წინზნექისა და უკუზნექის ჩართვით. 5. ხტომები — ხარიხა სიგრძეზე — 120 სმ. სიმაღლის ბოგი — 10 სმ. — „ლუნვით" — ხტომი.

### ქალთათვის:

1. ღერძი (დაბალი) დგომკიდიდან ცალი ფეხის არეკნით და მეორის აქნევით ასწრაფვა, ნებისმიერი ფეხის გადაქნი ლაჯურ ბჯენში — და მარჯვენის (მარცხენის) გადაქნით მარცხნივ (მარჯვნივ) — ბრუნით ჩამოხტომი. 2. დვირი — წონასწორობაზე ვარჯიში — წინ ნაბიჯების — ფეხის გაქნევით 90°-ზე ბრუნვების, ჩოქბჯენისა და წინ გამართული ტანით ჩამოხტომის ჩართვით. 3. 16-24 თვლაზე თავისუფალი ვარჯიში — წინ ზნექის, ზურგზე წელიდან „ხიდურის", უკუკოტრიალისა და ბექჯირის ჩართვით. 4. ხტომები — ხარიხა სიგანეზე — 110 სმ. სიმაღლის, ბოგი 10 სმ. სიმაღლის, ფეხშლით ხტომი.

ტანვარჯიშში მისაღები გამოცდების საერთო შეფასება წარმოებს სპორტულ ტანვარჯიშში მსაჯობის მოქმედი წესების მიხედვით (ქულებში).

### მამაკაცთათვის:

„ფრიადი" — არანაკლებ 48 ქულისა, „კარგი" — არანაკლებ 45 ქულისა, „დამაკმაყოფილებელი" — არანაკლებ 42 ქულისა.

### ქალთათვის:

„ფრიადი" — არანაკლებ 37 ქულისა, „კარგი" — არანაკლებ 32 ქულისა, „დამაკმაყოფილებელი" — არანაკლებ 28 ქულისა.

## 3. მისაღები გამოცდები ცურვაში

გამოცდები ცურვაში ტარდება შემდეგი ნორმატივების მიხედვით: „ფრიადი" — გაცურვა რომელიმე სპორტული ყაიდით ნებისმიერი მანძილის, შეჯიბრების წესების თანახმად მესამე თანრიგის ნორმატივებთან მიახლოვებული დროით, „კარგი" — 300 მეტრის გაცურვა თავისუფალი ყაიდით, დროის ჩაუთვლელად, საწყისისა და მობრუნებების შესრულება შეჯიბრების წესის თანახმად. „დამაკმაყოფილებელი" — 100 მეტრის გაცურვა თავისუფალი ყაიდით დროის ჩაუთვლელად.

## 4. მისაღები გამოცდები სპორტის ამორჩეულ სახეობაში

პირველ რიგში ტარდება გამოცდა სპორტის ამორჩეულ სახეობაში. კათედრები აწყობენ გასაუბრებას შემოსულელებთან, ატარებენ გასინჯვას ძირითადი ვარჯიშების ტექნიკის შესრულებაში და გამოცდას დადგენილი ნორმატივების მიხედვით.

## მოთხოვნები სპორტის ამორჩეულ სახეობებში

### მძლეოსნობა

1. მძლეოსნობაში საერთო მოთხოვნების ჩაბარება არანაკლები „კარგი" შეფასებით. 2. მძლეოსნობის ამორჩეულ სახეობაში შეფასებით „ფრიადი" — II თანრიგის შესრულება, შეფასება „კარგი" — II თანრიგს დაახლოებული შედეგის შესრულება. შეფასებით „დამაკმაყოფილებელი" — III თანრიგის შესრულება.

### ტანვარჯიში

1. ტანვარჯიშში საერთო მოთხოვნების ჩაბარება არანაკლებ „ფრიადი" შეფასებისა. 2. შესრულება — შეფასებაზე: „ფრიადი" — II თანრიგი, „კარგი" — II თანრიგთან ახლო, „დამაკმაყოფილებელი" — III თანრიგი.

### ცურვა

1. საერთო მოთხოვნების ჩაბარება ცურვაში არანაკლებ „ფრიადზე". 2. ცურვის ორი სპორტული ყაიდის ჩვენება 100 მეტრ მანძილზე, 3. შესრულოს არჩეული ყაიდით შედეგი ნიშანზე: „ფრიადი" — II თანრიგი, „კარგი" — ახლო II თანრიგთან, „დამაკმაყოფილებელი" — III თანრიგი.

### ველოსპორტი

1. ველოსიპედის ტარების ტექნიკის დემონსტრაცია შოსეზე ან ტრეკზე. 2. ველოსპორტი ამორჩეულ სახეობაში შეფასებით „ფრიადი" — II თანრიგის შესრულება, შეფასება „კარგი" — II თანრიგთან დაახლოებული შედეგის შესრულება. შეფასებით „დამაკმაყოფილებელი" — III თანრიგის შესრულება.

### ფეხბურთი

1, ვარჯიშების შესრულება. გარტყმები 1. გარტყმები უძრავ ბურთზე სამად გაყოფილ კარში, სრულდება ხუთი გარტყმა საჯარიმო მოედნის ხაზიდან დანიშნულების მიხედვით.

მოხვედრის სიზუსტის შეფასება (მოხვედრების რაოდენობა). „ფრიადი" — 4, „კარგი" — 3, „დამაკმაყოფილებელი" — 2.

2. 15 მეტრი ტარების შემდეგ გარტყმა ორად გაყოფილ კარში. სრულდება ხუთი გარტყმა საჯარიმო მოედნის ხაზიდან დანიშნულების მიხედვით. მოხვედრის სიზუსტის შეფასება (მოხვედრების რაოდენობა): „ფრიადი" — 4, „კარგი" — 3, „დამაკმაყოფილებელი" — 2.

3. ბურთის ტარება. ბურთის ტარება ცენტრალური წრის ირგვლივ ორივე მხარეს, ბურთის წრეში შეუგორებლად.

შეფასება ტარებისათვის (სეკუნდებში). „ფრიადი" — 30, „კარგი" — 35, „დამაკმაყოფილებელი" — 40. ივივე რვა დგარის შემოვლებით. შეფასება ტარებისათვის (სეკუნდებში): „ფრიადი" — 40, „კარგი" — 45, „დამაკმაყოფილებელი" — 50.

ბურთის კენწვლა. რიგრიგობით მარჯვენა და მარცხენა ფეხით. შეფასება კენწვლისათვის (გარტყმების რაოდენობა): „ფრიადი" — 30, „კარგი" — 25 „დამაკმაყოფილებელი" — 20. ნორმატივები მიიღება სპორტულ მოედნებზე ან სტადიონებზე.

### ფრენბურთი

1. ვარჯიშების შესრულება:

ბურთის მიწოდება. დავალებით სრულდება ხუთი მიწოდება ზემოდან. მიწოდების შეფასება (მიწოდებათა რაოდენობა): „ფრიადი" — 4, „კარგი" — 3, „დამაკმაყოფილებელი" — 2. ბურთის გადაცემა. მიწოდება იმიტირებულ უნდა იქნას თავს ზემოდან, წრეში. (კალათბურთის მოედნის ცენტრალური წრე). 1. შეფასება 30 წამში ბურთის გადაცემების მინიმალური რაოდენობისათვის — „ფრიადი" — 10-მდე, „კარგი" — 15-მდე, „დამაკმაყოფილებელი" — 20-მდე.

2. შეფასება ხტომაში ბურთის გადაცემების მაქსიმალური რაოდენობისათვის დროის ჩაუთვლელად: „ფრიადი" — 12, „კარგი" — 10, „დამაკმაყოფილებელი" — 8.

3. შეფასება წინასწარი გასვლით ბადის გასწვრივ ბურთის გადაცემისათვის (ვარჯიშობა სრულდება წყვილის მიერ): „ფრიადი" — 10-12 (ხტომში), „კარგი" — 10-12 (ხტომის გარეშე), „დამაკმაყოფილებელი" — 7-8. შეტევითი დარტყმა; სრულდება 5 დარტყმა დავალებით მთელ ზონაში. შეფასება შეტევითი დარტყმისთვის (დარტყმათა რაოდენობა): „ფრიადი" — 5, „კარგი" — 4, „დამაკმაყოფილებელი" — 3. მონაწილეობა ორმხრივ თამაშში.

გამოსაცდელი პირი ორჯერ მონაწილეობს ორმხრივ თამაშში.

### კალათბურთი

1. ვარჯიშების შესრულება. კომბინირებული ნორმატივი — კალათბურთის მოედნის პირით ხაზზე, რბენა წინითი ზონის საჯარიმო გდების არემდე. ბურთის მიღება მოედნის კუთხიდან, ბურთის ტარება ცენტრალური წრემდის, ბრუნი ბურთით ხელში, ტარება საჯარიმო გდების მოედნის რკალამდე (წინითი ზონის), ფარზე მირტყმა, ბურთის დაჭერა, კალათში გდება, ბურთის დაჭერა, ბურთის ტარება საჯარიმო გდების რკალზე, კალათში გდება, ბურთის დაჭერა, ბურთის ტარება საჯარიმო გდების მოედნის რკალზე საწინაალმდეგო მიმართულებით, კალათში გდება, ბურთის დაჭერა, ბურთის გდება ზურგის ზონის საჯარიმო გდების არეში, ბურთის მიკარებისთანავე აღირიცხება ნორმატივის შესრულების დრო. ბურთის კალათში ჩაგდება სავალდებულოა.

ნორმატივის შეფასება:

#### ვაჟები:

„ფრიადი" — 30 წამამდე, „კარგი" — 30-32 წამამდე, „დამაკმაყოფილებელი" — 33-35 წამამდე.

#### ქალები:

„ფრიადი" — 35 წამამდე, „კარგი" — 35-37 წამამდე, „დამაკმაყოფილებელი" — 38-40 წამამდე. ბურთის გდება კალათში — საჯარიმო და განკუთვნილ ადგილიდან გდების თანმიმდევრობა შემდეგია: ორი გდება განკუთვნილი ადგილიდან, ორი საჯარიმო გდება და ა. შ. სულ 10 გდება განკუთვნილ ადგილიდან და 10 საჯარიმო გდება. ქალებისათვის და ვაჟებისათვის გდების შეფასება ერთნაირია.

საჯარიმო გდების შეფასება. (ჩაგდებული) „ფრიადი" — 8-9 მეტი, „კარგი" — 6-7 მეტი, „დამაკმაყოფილებელი" — 5-4 მეტი, განკუთვნილ ადგილიდან გდების შეფასება — (ჩაგდებული) „ფრიადი" — 7-9 მეტი, „კარგი" — 5-4 მეტი, „დამაკმაყოფილებელი" — 3-2 მეტი.

II. მონაწილეობა ორმხრივ თამაშში. ორმხრივ თამაშში გამოსაცდელი მონაწილეობს ორჯერ.

### ჩოგბურთი

1. ბურთის მიწოდება. მოთამაშეს ეძლევა 4 ცდა.

2. ცდა მიწოდების პირველი პოზიციიდან და 2 ცდა მიწოდების მეორე პოზიციიდან ისე, რომ დაცული იყოს მიწოდების წესები.

შეფასება:

ა) ფრიადი — ოთხივე მიწოდების სწორად შესრულება. ბ) კარგი — ოთხი ცდიდან სამი მიწოდების სწორად შესრულება. გ) დამაკმაყოფილებელი — ოთხი ცდიდან ორი, მიწოდების სწორად შესრულება.

**გარტყმა მარჯვნიდან.** 6-10 მეტრის მანძილიდან კედელზე დახაზულ სწორკუთხედში (სწორკუთხედის ზომები: 1,5 მ. სიგრძე 1 მ. სიმაღლე ბადეზე) 10 გარტყმის შესრულება მიწიდან არეკლის შემდეგ ან ჰაერიდან. ბურთის მეორედ შეხება მიწასთან ითვლება შეცდომად.

შეფასება:

ა) „ფრიადი" — 10 გარტყმიდან 6-ის მოხვედრა სწორკუთხედში, ბ) „კარგი" — 10 გარტყმიდან 5-ის მოხვედრა სწორკუთხედში. გ) „დამაკმაყოფილებელი" — 10 გარტყმიდან 4-ის მოხვედრა სწორკუთხედში.

**გარტყმა მარცხნიდან** 6-10 მეტრის მანძილიდან კედელზე დახაზულ სწორკუთხედში (სწორკუთხედის ზომებია) 1.5 მ. სიგრძე 1 მ. სიმაღლე, ბადეზე) 10 გარტყმის შესრულება მიწიდან არეკლის შემდეგ ან ჰაერიდან. ბურთის მეორედ შეხება მიწასთან ითვლება შეცდომად.

შეფასება:

ა) „ფრიადი" — 10 გარტყმიდან 4-ის მოხვედრა სწორკუთხედში, ბ) „კარგი" — 10 გარტყმიდან 3-ის მოხვედრა სწორკუთხედში. გ) „დამაკმაყოფილებელი" — 10 გარტყმიდან 2-ის მოხვედრა სწორკუთხედში.

### სათხილამურო სპორტი

ტექნიკური და საერთო ფიზიკური მომზადებულობის პრაქტიკული შემოწმება ხატარდება შემდეგ სახეობებში:

„ფრიადი": რბენა 100 მეტრზე — მამაკაცები 13,4, ქალები — 15,0, გამორბენით სიგრძეზე ხტომა — შესაბამისად 5,0 და 3,80, წინბჯენიდან ტანის აჭიმვა 30-ჯერ, 15-ჯერ, რბენა 3.000 მ. 11,30, 1.000 მ. — 4,00, „კარგი" — 100 მეტრზე — 13,6, (მამაკაცები), 15,2 (ქალები), ხტომა — 4,80 (მამაკაცები) და 3,60 (ქალები), ტანის აჭიმვა 25-ჯერ, 12-ჯერ, 3.000 მ — 11,45, 1.000 მ — 4,05, „დამაკმაყოფილებელი" — 100 მეტრზე — 13,8 (მამაკაცები) და 15,4 (ქალები), ხტომა — 4,60 (მამაკაცები) და 3,40 (ქალები), ტანის აჭიმვა 20-ჯერ, 10-ჯერ, 3.000 მ — 12,0, 1.000 მ — 4,10.

შენაცვლებით [illegible] სვლის იმიტაცია. 3-ჯერ 30 მ. [illegible] (პირველი და მეორე გავლა სუსტი ინტენსივობით, მესამე ძლიერი ინტენსივობით).

### ძალოსნობა

1. ძირითადი მოძრაობების (ატაცა და აკვრა ორი ხელით) ტექნიკის შესრულების შეფასება შემსვლელთათვის, 2. ნაჩვენები უნდა იქნას სამჭიდში მე-2 თანრიგი სპორტულ ფაკულტეტზე, ხოლო მე-3 თანრიგი პედაგოგიურზე. საბოლოო შეფასებას იძლევა ტექნიკაში და თანრიგის შესრულებაში შეჯამებული საშუალო შედეგი.

### კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა

1. ფანდებისა და სპეციალური ვარჯიშების დემონსტრირება. 2. ფანდები დგომში. ა) უკან გდება სხვადასხვა მოვლებით ფიტულებისა და თანამოვარჯიშის საშუალებით. ბ) მოგვერდი სხვადასხვა მოვლებით. 2. ფანდები ჩოქბჯენში, ა) გადატრიალება წინ, უკან და გვერდზე სხვადასხვა მოვლებით. ბ) გდებები უკან სხვადასხვა მოვლებით. 3. ვარჯიშები ხიდურზე: ა) დგომიდან ხიდურზე გადასვლა — და ერთდროულად წინ ტრიალი. ბ) ხიდურზე ტრიალი თავის ირგვლივ მარცხნივ და მარჯვნივ.

### თავისუფალი ჭიდაობა (12 წუთი)

ჭიდაობაში საერთო შეფასება შემსვლელთათვის გამოიყვანება დგომსა და ჩოქბჯენში ფანდების დემონსტრირებისა და სპეციალური ვარჯიშების შეფასების შედეგით და გარდა ამისა, სპორტულ ფაკულტეტზე შემსვლელთათვის აუცილებელია მე-2 სპორტული თანრიგი, ხოლო პედაგოგიურზე მე-3 თანრიგი.

### კრივი

1. თანრიგის აუცილებლობა. 2. ვარჯიშების შესრულება, ცალკეული დარტყმები — პირდაპირი, გვერდითი და ქვევიდან ტომრებზე და ჩამოკიდებულ ბუშტაზე.

### ფარიკაობა

1. ფარიკაობაში სპორტული თანრიგის აუცილებლობა. 2. პარტნიორთან შემდეგი ხერხების შესრულება (მასწავლებლების დავალებით). ა) მარტივი იერიშები, ფარვები და პასუხები, ბ) იერიშები იარაღზე მოქმედებით, იერიშები 1 ან 2 მოტყუებით, გ) განმეორებითი იერიშები და კონტრიერიშები მოტყუებით.

შემსვლელთათვის ფარიკაობაში საერთო ნიშანი გამოიყვანება ტექნიკის ელემენტების შესრულებაში მიღებული ნიშნით და მესამე სპორტული თანრიგის ჯამით.

## ალბერტი და ტიხი

უნგრეთის ჩემპიონატებში ბრძოლა უძლიერესი „სნაიპერის" წოდებისათვის სისტემატურად მიმდინარეობს „ფერენცვაროშის" ცენტრალურ თავდამსხმელს ფ. ალბერტსა და „ჰონვედის" ცენტრალურ თავდამსხმელს ლ. ტიხის შორის, შარშანწინ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ალბერტმა. შარშან თავიდანვე დაწინაურდა ტიხი, რომელიც ბოლო ტურის წინ 5 ბურთით უსწრებდა მეტოქეს. მოულოდნელად ალბერტმა უკანასკნელ დღეს 6 (!) ბურთი გაიტანა და შეინარჩუნა პირველი ადგილი.

1960-61 წლების სეზონი ორივე ცენტრფორვარდმა არათანაბრად ჩაატარა. ტიხი დიდხანს ავადმყოფობდა, ხოლო ალბერტი შორს იყო ჩვეული ფორმისაგან. საბოლოოდ თვითეულმა მათგანმა გაიტანა 21 ბურთი, ხოლო მესამე ადგილზე მყოფმა მახოშმა („ვაშაში") 17.

საყურადღებოა ერთი ამბავიც: „სნაიპერთა" ცხრილში აღმოჩნდა „დოჟას" ცენტრალური მცველი ვარჰიდი, რომელმაც მეტოქეთა კარში 9 ბურთი გაიტანა.

რედაქტორი ი. უგულავა.


**23-26**

**ივლისი**

ლენინის სახელობის სპორტდარბაზი „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს თასის გათამაშება

**მხატვრულ ტანვარჯიშში**

დასაწყისი 10 ს. და 18 ს.



გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-84, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14, უე 04006